საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მენუა

მენუა, ურარტუს მეფე ძვ. წ. 810–785. მეფე იშფუინის უმცროსი ვაჟი. მამის მეფობის დასასრულს მ. მის თანამმართველად ითვლებოდა. იშფუინი-მენუას სახელით დღემდე ცნობილია ათამდე, საკუთრივ მ-ს სახელით კი – ასზე მეტი ურარტული წარწერა, რ-ებშიც მოხსენიებულია დიაუხის მეფე უტუფურსი და მისი მოკავშირე ქართველური ტომები: ვიტერუხი (ოძრხე, ანუ ბიძერები), ლუშა (ლაზეთი ან ერუშეთი), ქათარზა (კლარჯეთი), იგანის სამეფო (ჩრდილის, ჩილდირის ტბის სანაპიროზე); ასევე დიაუხის ქალაქები: შაშილუ, *ზუა,* უცუხა. მ-ს დროს დიდი ბრძოლები გაიმართა მანასთან, დიაუხისთან. დაიწყო არარატის ველის დაუფლება და ათვისება, ააგეს ურარტუელთა ციხესიმაგრე მენუახინილი ამ ადგილებში დაპყრობილი ერიქუახის ტომის მიწა-წყალზე, დასახლ. პუნქტის – ლიხიუნის მახლობლად (არარატის მთის ჩრდ. ფერდობი, თურქეთი). სახელი ეწოდა მ-ს პატივსაცემად (მენუახი – მენუას კუთვნილი). მ-მ დიდი სააღმშენებლო და საირიგაციო სამუშაოები ჩაატარა.

ლიტ.: გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი ლ., ძველი ისტორიის ნარკვევები, თბ., 2012; მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი გ., ძიებანი საქართველოს კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში, თბ., 1999; М е л и к и ш в и л и Г. А., Древневосточные материалы по истории народов Закавказия, т. 1., Наири-Урарту, Тб., 1954; მ ი ს ი ვ ე , Урартские клинообразные надписи, М., 1960.

გ. მელიქიშვილი